



**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-19**

**2011 წლის 17 მარტი  
ქ. ქობულეთი**

**შ.პ.ს. „მობიტელ“-ზე მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში საბაზო  
სადგურის განსათავსებლად ფართის გამოყოფის შესახებ ქობულეთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე**

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება შ.პ.ს. „მობიტელ“-ზე მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში საბაზო სადგურის განსათავსებლად ფართის გამოყოფის შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„2. საიჯარო ქირა განისაზღვროს ყოველთვიურად 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.“
2. ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 1 იანვრამდე.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**ნ. ბერაძე**